

მშენებელი

პატრონები

იუმორისტ.
ჟურნალი

№ 5



ტრამვაი ქალაქის ხელში.

როგორც იქნა ეშველა თბილისის მოქალაქეთ. ტრამვაი ქალაქის ხელში გადავიდა! ალ. ივანიჩმა ვატმანობა ისურვა, ვინაიდან იგია მიმართულების შიმცეში ქალაქის საქმეებისა. ალ. მიხაილოვიჩი, როგორც გამგე საღმშენებლო ნაწილისა უკვე შეუდგა ქვაფენილების შესწორებას. ბანი ჯაბარი, გამგე სასურსათო განყოფილებისა აღარ ზოგავს ზეთსა და ქვიშას, ოღონდ ტრამვაიმ ჩქარა იმოძრაოს. ბ-ნი ქურული, საფინანსო საქმეს ჩაუდგა

და კონდუქტორის სამოსელში გამოეწყო. მეოთხე წევრი გამგეობისა ათაბეგოვი, როგორც იურიდიულ საქმეთა ხელმძღვანელი საპალიციო უბანში წაიყვანეს პირველი გაჟყლეტილი ბავშვის შესახებ ოქმის შესადგენათ.

მოძრაობა გამოცდილ ხელში უკვე მოწესრიგა და. ვერის დიდმართზე მხოლოდ სამი საათის ცდაა საქირო უწინდელ ოთხის მაგივრათ, სხვაგან კიდევ ნაკლები.

კლ. ჩარკაშვილის იუბილეის გამო.

ქართულ სცენაზე კომედიის მსახიობი ისეთივე საკვირველებია, როგორც, მაგალითად, პანაშვილზე მრავალჯამიერი.

ჩვენი აზრით, რომელიც იმით არის კარგი რომ ჩვენია, ხოლო ცუდი იმითა, რომ ამ აზრს, ადვილი შესაძლებელია, ჩვენს მეტი არავინ მიემხროს, ჩვენში ტრაგიკოსობა უფრო ადვილია, ვიდრე კომიკოსობა.

ჩვენი ცხოვრება—პოლიტიკურიც, საზოგადოებრივიც და პირადიც—ისეთი თვისებისაა, რომ ყოველგვარი გრძნობის გამოწვევა შეუძლია გარდა მხიარულების გრძნობისა.

მართლაც-და, რავგარ გრძნობებს ანვითარებს ჩვენი ცხოვრება?

გახვალ ქუჩაში და გოროდოვოს დანახვაზე ცახცახი ავიტანს ხოლმე: გრძნობა შიშის ზარისა.

შეიხნედავ რომელსამე საზოგადოებრივსა და კულტურულ დაწესებულებაში და გულზე ლოდი დაგაწვება და ყელში სისხლი მოგადგება: გრძნობა უადრესა მწუხარებისა და აღშფოთებული გულის წერბისა.

სახლში დაბრუნდები და—შიმშილი და სიცივე დაგიხვდება კარებში: გრძნობა ფაზიკირი ტანჯვისა.

მოდი და ნუ გახდები ტრაგიკოსი ასეთ პირობებში!

არა, ქეშმარიტათ, ტრაგიკოსობა ძლიერ ადვილი რამ უნდა იყოს ქართველი მსახიობისათვის.

ნით უფრო ძლიერი ტაშისა და ვაშის ღირსია ჩვენი იუბლიარი, ღიზა ჩერქეზიშვილის ქალი, რომელიც ში წელიწადია გულიანათ აცინებს ამ ნიადაგ დამფრთხალს, აღშფოთებულს, დამწუხრებულსა და დამშეულ ხალხს...

და თუმცა ღიზას—ვერ დავმალოთ—ბრალათ ედება გულ-შესახარი, საარაკო რამ მოქმედება, ენის უთქმელი, გასაგონათ გასაოცია (—კაცი და ქალი უთვალავი, ასჯერ ოცია ქართულ თეატრში მას სიცილით დაწუხებდა), მაინც გვგონია, რომ დღეს იგი მისალოცია.

—ნა.

ქველმოქმედება.*)

(ზამთრული ლექცია)

ბატონებო!

დღევანდელი „სალამოს“ სახელწოდება და მიზანი გვაძლავს, შეძლების დაგვარათ გამოვიკვლიოთ არსი ანუ რაობა ქველმოქმედებისა, გავაშუქოთ და შევისწავლოთ ყველა მისი მხარე და ავწონოთ მისი მნიშვნელობა ჩვენს საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

ქველმოქმედება ისევე ძველია, როგორც თვით კაცობრიობა.

პირველი საქველმოქმედო დაწესებულება იყო ედემი, რომელიც დააარსა ძველ დროში სახელგანთქმულმა ქველმოქმედმა მამა-ღმერთმა მესოპოტამიაში ადამიანის გაჩენისათანავე.

სამწუხაროთ, არც წესდება და არც ოქმები ამ საქველმოქმედო დაწესებულებისა დღეს-დღეობით ჩვენს ხელთ არ არის, და ვინაიდან ყველა ეს მასალა ქ. შ. წ. კ. გ. ს-ბის საგამომცემლო სექციას უწყვია უჯრაში გამოსაცემათ, წინ და წინ არც იმისი თქმა შეგვიძლიან, რომელ საუკუნეში დაიბეჭდება და გამოქვეყნდება ხსენებული საყურადღებო მანუსკრიპტები.

მაინცა და მაინც ჩვენ საშვალება გვაქვს, ბ.ბ., მოგაწოდოთ თქვენ მკირე რამ ცნობები შესახებ ედემის ორგანიზაციულ წყობილებისა.

გამეგობის მთელ შედგენილობას თავმჯდომარისა და მდივნიტურთ წარმოადგენდა მარტო დამაარსებელი ამ საქველმოქმედო დაწესებულებისა.

მუშაობა სწარმოებდა მეტად მწყობრათ და მუყაითად, ყველა საკითხები ერთხმათ და უღალატათ წყდებოდა და არ ყოფილა შემთხვევა, რომ ეს საუცხოვო ჰარმონია ვისმე დაერღვიოს.

ამისდა გვარათ ედემი იყო იდეალური და სრული საქველმოქმედო დაწესებულება, მაგრამ ასეთ დაწესებულებათა საერთო ბედს ვერც იგი ასცდა: ედემში მოხდა საოცარი ბოროტ-მოქმედება და მთავრობის განკარგულებისამებრ სამუდამოთ დაიხურა.

არც გაფლანგული თანხის რაოდენობა და

*) ამ ლექციის წაკითხვა სცადა ავტორმა ქართ. საქ. საზ-ბის სალამოზე, მაგრამ ვინაიდან დამსწრეები საქმაოდ მომზადებულნი ვერ აღმოჩნდნენ, ლექციის კითხვა შუაზე შესწყვიტა და გულგატეხილი გავიდა სცენიდან.

არც გამფლანგველთა ვინაობა ჩვენ სამწუხაროთ არ ვიცით, გარნა ის გარემოება, რომ დახურულ ედემს შეიარაღებული დარაჯი მიუჩინეს, ხოლო ბოროტ-მოქმედების მიზეზათ ერთი ვაშლი გამოაცხადეს—საბუთს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ეს თანხა ძლიერ დიდი ყოფილა და ბოროტ-მოქმედებაც მმართველ წრეებში ჩაუდენიათ.

ამ სამწუხარო ცდამ მამა-ღმერთს გული გაუტეხა და მას შემდეგ მხოლოდ ერთხელ სცადა მან საქველმოქმედო მოღვაწეობა.—ეს მაშინ, როდესაც ებრაელებს ტყბილი მანანის თოვლი მოუვლინა—მაგრამ უზრდელმა ადამიანებმა ვერ შეიღირსეს მომადლებული სიკეთე:—ღმერთი დაგვიცინისო, სთქვეს მათ: ჯერ სადილი არ უქმევიო და ამ მშვიერ კუჭზე ტყბილები წამოგვიწყო.

ამის შემდეგ ღმერთმა საბუღამოთ აიღო ხელი ქველმოქმედებაზე, და ქველმოქმედება ადამიანთა მოღვაწეობის მნიშვნელოვან დარგათ გადაიქცა.

ამ ჟამათ ქველმოქმედება ჩვენი ცხოვრების ერთ უმთავრეს ღერძთაგანს წარმოადგენს და მას ახასიათებს სამი მთავარი მომენტი, რომლებსაც გთხოვთ, ყურადღება მიაქციოთ, ბ-ბო! ეს სამი მომენტი: საქველმოქმედო თანხის შეგროვება, ნედლი თანხის დაწმენდა და საკუთრივ ქველმოქმედება.

საქველმოქმედო თანხის შეგროვების ყველაზე უფრო გავრცელებული წესი, ბ.ბ., ეგრეწოდებული ნებაყოფლობითი შეწირულება არის.

ჩვენს დროში ამ ნებაყოფლობითი შეწირულების რედა არსი ის გახლავთ, რომ გამოხვალთ დღე არა ქუჩაში, იმ წამსვე ერთი წყვილი ქალ-ვაჟი გზას გადავიღობავს, საოცარის სისწრაფით მოგაბნევსთ გულზე რაღაცას და ადგილიდან ფეხს არ დაგაძვრევენებთ, ვიდრე ნება ყოფლობით არ ჩაუდებთ ყულობაში თქვენს შეწირულებას. გადადგამთ რამდენსამე ნაბიჯსა და ეხლა მეორე წყვილი ქალ-ვაჟი მოგიჭრისთ გზას, ჩაგარკობსთ საღილეში რაღაცას და თქვენის ნება-ყოფლობით მიიღებს თქვენს შეწირულებას. როცა მესამე წყვილს მოჰკრავთ თვალს, გაქცევას დააპირებთ, მაგრამ ამაოთ: ისე მაგრათ ჩაგებლაჟებთან კალთებში, რომ თქვენ იძულებული ხდებით პალტო ხელში შეატოვოთ, ოღონდ კი თავი გაინთავისუფლოთ. შემდეგ ისეთივე ბედი მოელის თქვენს პიჯაკსაც, ჟილეტსაც, და ქუჩის ბოლოში რომ მიადწევთ ისეთი სანახავი

ხდებით, რომ მრავალ ტანჯულო იობზე ბევრათ მეტი საფუძველი გაქვთ წამოიძახოთ: „თვით მე შიშველი გამოველ მუცლითგან დედისა ჩემისა და შიშველიცა განვიდე მუნვე!“.

აი დამთავრდა შეგროვების პროცესი და თანხა მზათ არის.

სწორეთ აქ იწყება ის საარაკო, მეტად ძნელი და რთული მუშაობა, ურომლისოთ ქველმოქმედება წარმოუდგენელია და რომელსაც საქველმოქმედო თანხის გადარეცხვა ანუ განწმენდა ეწოდება.

საქმე ის გახლავთ, ბ-ბო, რომ ახალ შეგროვილი თანხა ნედლ მასალას ასუ ნედლ თანხას წარმოადგენს და ამ ნედლ თანხაში ნამდვილ საქველმოქმედო თანხის აღმოჩენა და გადარეცხვა ისევე ძნელია, თუ უფრო არა, როგორც, ვთქვათ, ოქროს მადანში წმინდა ოქროს ნამცეცების ამოკრეფა. მოგეხსენებათ, რომ ნამდვილ ოქროს უნდა გამოეყოს და ჩამოშორდეს სხვა გარეშე ლითონებში და ნივთიერებანი. წმინდა საქველმოქმედო თანხასაც უნდა ჩამოეცალოს და ჩამოეთალოს ზედმეტი და უვარგისი ნაწილები. და როგორც 100 ფუთ ოქროს მადანში ძვირათ თუ ას მისხალზე მეტი წმინდა ოქრო გამოირჩევა, ისე 100 თუმან ნედლი თანხიდა 10 თუმანზე მეტი ნამდვილი საქველმოქმედო თანხა ვერ დადგება.

ქველმოქმედების ამ უღარესათ დამახასიათებელ შრომას ეგრეთ წოდებული „საქველმოქმედო თანხის მთლელები“ აწარმოებენ და მათი პროფესია ისეთი უმადურია, რომ ხშირათ ხანგრძლივი და თავგანწირული შრომა სულ ფუჭათ ჩაუვლისთ ხოლმე და ნედლ თანხაში ნამდვილ საქველმოქმედო თანხის ნატამალიც არა რჩებათ.

ეხლა ბ.ბ., სიტყვა მიდგა ქველმოქმედების ობიექტებზე, რომელთა შორის უპირველეს ყოვლისა მოსწავლე ახალ-გაზდობას მივაქცევთ თქვენს ყურადღებას. ქველმოქმედება ამათ ე. წ. სტაბენდების სახით ევლინება. ვინაიდან მუყაითი, ნიქიერი და პრინციპიანი სტუდენტი ყოველთვის ადვილათ გაიკაფავს გზას, რა გინდ ხელმოკლე და ღატაკი იყოს, სხვისი შველა და დახმარება მას არ ეჭირება. ამათთვის ქველმოქმედება თავის თანხას ვერ გაფლანგავს. სულ სხვაა ის სტუდენტები, რომელნიც ბუნებით უნიჭიანი არიან, გზა აბნევიათ და ლოთობისა და ბანქოს თამაშის მეტსარას აკეთებენ. აი, ამათ სჭირია სასწრაფო და უხვი

დახმარება. ამის მიხედვით ქველმოქმედებას სასტიკი და თან უაღრესათ სამართლიანი წესი აქვს დაკანონებული: სტიპენდია ენიშნება მხოლოდ იმ პირთ, რომელთა შესახებ უტყუარი და დაწვრილებითი ცნობებია შეკრებილი. ამ ცნობებიდან ნათლად უნდა ჩანდეს, რომ სასტიპენდიო სტუდენტი ბუნებით უნიკია, შთამომავლობით—ლოთი, მიმართულებით შეგნებული ბანქოს მოთამაშე...

თუ რომ ფართე, თვალსაზრისით შევხედავთ დღევანდელი ლექციის საგანს, ჩვენ დავინახავთ, რომ ქველმოქმედების მიზანია ადამიანის ყოველგვარ ტანჯვათა შემსუბუქება.

თქვენ, ბ. ბ., არც კი შეგიძლიანთ გაითვალისწინოთ ის საშინელი ტანჯვა. რომელსაც განიცდის, მაგალითად ბანკის ვინმე მსხვილი მოხელე, როდესაც მას შამპანიური და ზღვის ლოკოკინა, ანუ „უსტრიცები“ შემოაკლდება. კიდევ უფრო ძნელია წარმოდგენა იმ საზარელ სულიერ ტკივილებისა, რომელსაც თუნდ ქალაქის თვითმმართველობაში მოსამსახურე ინჟინერი გრძნობს, როდესაც მას მოდერნის ყაიდაზე აგებულ საკუთარი სახლის შეძენის მძაფრი სურვილი აიტანს და სათანადო თანხა კი არ მოეძევა. ხოლო ტანჯვის იმ შემზარავ ქარტახილს, რომელიც საინტენდანტოს ბობოლას შეიპყრობს მაცეკვარი ქალის ვნებათა ამშლელ ტიტველი მუხლის დანახვზე—ამ საზარელ სულიერ გრივალს ხომ ვერც უნიკიერესი ფსიხოლოგი ასწერს. და ვინ იცის, როგორ გააპარტახებდა. ამ ბანკის მოხელის, თვითმართველობის ინჟინერის და საინტენდანტოს ბობოლას არსებას ზემოხსენებული ზნეობრივი ტანჯვა, რომ თითველ მათგანს სწორეთ სულზე არ უსწრებდეს თავ-თავიანთ დაწესებულებათა ქველმოქმედება. პირველს—ეგრეწოდებულნი გასტრონომიული, მეორეს—საარქიტექტურო, ხოლო მესამეს რომანიული. და აი, ჩვენ ვხედავთ, ყოვლის შემადლე ქველმოქმედება თვალის დახამხამებაში სპობს მათ ტანჯვას და ბანკის მოხელე შამპანიურსა და უსტრიცებს შეეკცევა, ინჟინერს საკუთარი სახლი აქვს მოდერნის ყაიდაზე აგებული, ხოლო ინტენდანტს იმ მაცეკვარ ქალის ტიტველი მუხლი შეუძენია

ამისდაგვარათ თითქმის ყველა საზოგადოებრივს, ადმინისტრაციულს, სახელმწიფოებრივს და კულტურულ ინსტიტუტებს ჩვენ თამამათ შეგვიძლია საქველმოქმედო დაწესებულებანი ვუწოდოთ,

რომდენათაც ისინი თავიანთ მოხელეთა ზემოთ დახსიათებულ ტანჯვათა შემსუბუქების საქმეს ემსახურებიან.

თაგუნა

მამალი და ცხვარი.

(იგავი)

ერთხელ მამალმა ცხვარს უთხრა:
„რა სულელი რამა ხარო,
ყველასაგან დასაბრიყვი,
საძრახი და სამასხარო.

შენის მატყლით, შენის ტყავით,
შენის ხორციო, შენის რქითო
კაცის სრული მხარკე ხარ,
გსარგებლობენ ყოვლის მხრითო;
და დადიხარ ქედ-წახრილი
ყველას მონა, ყველას ყმაო,
არვის ესმის შენი კვნესა,
შესაბრალო შენი ხმაო.

მე კი მიინც ამაყი ვარ,
გაბედულიც დიდათაო,
არც საქმელათ დიდს ვარგებ კაცს
და არც გასაყიდათაო“.

ცხვარმა უთხრა: „სულ ერთია!
ჩემსას რით სჯობს შენი ბედი?
მართალია, ტუტუცი ხარ,
ამაყი დე მასთან ყბედი,
თორემ ისე, პატრონისთვის,
შენც მხარკე ჩემებრ ხარო,
შენც ჩემსავით დაბალ-ლობე,
საკბილო და სამასხარო.

ეს რომ ყურშამ გაიგონა,
გადაიქცა მთლად სიცილიათ,
ჩაერია ცხვარს და მამალს
და მათ მოახსენა ფრთხილათ:

„საცილო და გასაყოფი
ერთმანეთში რა გაქვთ თქვენო?
არც შენ, ცხვარო, დიდი რამ ხარ
და, მამალო, არცა შენო.

აქ საქები არც ერთს არ გაქვთ,
 გირჩევ: ისევ დაწყნარდეთო,
 რომ მეტის მეტ თავის ქებით
 საფრთხეში არ ჩავარდეთო.

ონისიმე.

მარტირუხას ჩივილი.

ვა, ვა, ვა, ვა! ეს რა ამბავია, ქრისტიანო,
 ეს რანაირი ვაინაა ვა!? კაცი რომ დაფიქრდეს თა-
 ვი თუ საცსემ პუსტოი არა აქვს, ქკვიდან შაიშლე-
 ბა უფლის მადლმა!

აღამიანო, ისტორიაშიც არსა-
 და სწერია და, ვა! ქვეყნის წიგნები გადაკითხული
 მაქვს: ეს ყარამინიანო, დავრიშიანიო, ას თავიანი
 მღვეის ამბები, ხემწიფის შვილის ზღაპარი, ჰაჯი-
 ბაბა, ტანგო, ბარაშკა, ოქროს ფეხი და არსად
 ლემენცების ვაჟ-კაცობა არა სწერია! ნეუყელი გა-
 ბერილმა ლემენცმა ეს დღე უნდა დაგვაყენოს!
 იძახიან იარალი აქვს ბვერიო, მაგრამ არა მჯერა.
 მე ჩემ დღეში ლემენცების ტანზე იარალი არ და-
 მინახავს. განა ჩვენი კნიაზების ტოლა იარალი ვინ-
 მეს ექნება! შაშკა, ხანჯალი, ლევეროვი, დამბაჩა...
 ირთი სიტყვით მთელი არსენალი ჰკიდიათ რაღა
 ზედ. ამ იარალის ბატრონებს ნეუყელი ლემენცები
 უნდა მოგვერიენენ! არ ვიცი უფლის მადლმა რა-
 და ვიფიქრო!

არა, ამ არამზადებს ეს სასუნებელი რაღა
 მოუგონიათ! ამბობენ რაღაც უდიშლიტელნი გა-
 ხიაო. თურმე თუ უსუნე, როგორც მოწამლული
 თევზი, ისე ამოტრიალდები გულადმა! ჰრამა უდი-
 შიტელნა ეი ბოლუ! თურმე იმ გახს რომ გამოუშ-
 კებენ რაც უნდა ვაჟ-კაცი იყო სრაზუმ მიღიხარ
 რაღა საიქიოს! აფსუსი არ არის ჩვენი ეშაკ კარა-
 ბეტა, დაგრეხილუა, სინკა, მუტრუკ მიკიჩა რომ
 რაღაც სასუნებელმა მოკლას! არ ვიცი, არ ვიცი
 იმათ ცხვირს რა მიეკარება. მერე მუტრუკ მიკიჩას
 ცხვირში თუ იმან გაატანა დავდუბულეფართ და ის

არის რაღა! კაცო, იმის ცხვირს რომ შახედო ფარ-
 შიროვანი ბადრიჯანი გეგონება.

არა, ეს ჩვენი ხალხის საქმე მაკირვებს ქრი-
 სტეს მადლმა! ქრისტიანო, ვაინაა თუ არშეყობა!
 რომ სუნავ, რას სუნავ, დუხია თუ ლადიკალონი!
 მიდი, მიაწყეტი, დააფარე სიფათში, რომ თვალეში
 ორმოცდაათ სანთლიანი ქალი დაუნთო. მაზების
 და დუხების სუნვა მე გალავინწყებ და მუშტიად-
 ში მინახავს! ეხ, მახლოს!

გოგია.



მესტვირული.

(სოფ. ჭავჭავაძის).

თუმცა ლექსების წერამა,
 ბლომათ მომაგო მტერია,
 აქეთ ნინიჩქა განრისხდა
 და იქეთ ვლადიმერია.
 აღარ იამათ „უჩიტლებს“,
 „მათრახში“ დანაწერია
 და ფხაკურობენ რაღაცას,
 ვით თავგი დანაქერია
 ხან სულში ჩივილს ლამობენ,
 ხან სურთ შებყრობა ჩემია.
 მაგრამ მე მათი მუქართ,
 წარბიც არ შემირხევია.
 მე მაინც ჩემსას განვაგრობ,
 თუ გინდ დამიკონ პირია,

ამკიდონ ჯვარი წამების,
დამირთონ ქირსე ქირია.

და ჰა, კვლავ ვიღებ ქამანჩას...
მედება ცეცხლი მწველია,
იქნება ამით ცოტა ხან
შემასრეს ოფლი ცხელია.

მიხსენ, ეშმაკო, თუ სადმე
შემემთხვეს განსაცდელია.
პირველად მოვიხსენიებ,
ვინც უფრო საკითხავია,
ვისაც ფეხებზე ჰკიდია
სოფლის ბოლო და თავია.
ვისაც არაფრათ არ უჩანს
მისი ტანჯვა და წყლულია
ეშმაკს ეუფლოს ამგვარი
ადამიანის სულია.

დრო არის, უნდა ვიბრუნო
პოლიციისკენ პირია,
აქ ურიცხვი მაქვს საამბო,
თუ არ დამატყდა ქირია.

მამასახლისი საბაი
უნდა შევაქო მწარეთა,
(უფალი თუ შემეწია,
და გამოვიდა გარეთა).
რაც იმან სხვები აწამა
თავისი „დინჯი“ თავითა,
სამაგიეროს გადახდა
ეკუთვნის უროს თავითა.
მწერალი მამასახლისობს,
ნუ თუ ვერ ხედავს ამასა?
ხალხი მას არ სჯამს, მაშ თითონც
დაეხსნას ხალხის ქამასა.

უვნებლათ თუ კი გადურჩი
მათ პოლიციურ კლანქებსა,
შემდეგ არაფრათ არ ჩავთვლი
წინანდელ დარდს და ტანჯვებსა.
თავიქუდ მოგლეჯით მოვკურსებლავ,
მთელი ძალით და ღონითა
სად ღობეს გადავახტები
ტალახს გავკურავ ფონითა.
მღვდლის ქუჩას მოვიჩახულოებ,
ჩხუბი რომ ხდება ხშირათა,
ქალები ერთი მეორეს
რომ ახტებიან ქირათა.

აბა, კვლავ, ჩემო გუდუნავ,
დაწყე მღერა წე-ია,

„ბარიშნებს“ ჩამოვუაროთ,
როგორც ეშმაკი მელია

და მივახლოთ უმაღლე
სიტყვები საკადრელია:
თუ კიდევ უკუ არ აგდეს
უგვანო საქციელია,
აცხვეს და აცხვეს ღამ-ღამე
ხაქაპურები ცხელია;
თუ კიდევ სიცილ-ხარხარით,
აიკლეს ქუჩა მთელია,
არ მოიშალეს არღანზე
ცეკვა, თამაში ძველია,
მაშინ მიყურეთ, თუ როგორ
გავკრა მათრახი მწველია.

ჭაგნელი ბჭიკი.

შ ა რ ა ლ ა

არ ერიდება პირველი
არც მსხვერპლს, არც სისხლის ღვარებსა,
სასტიკად უღვეს ყოველ მხრივ
და იფართოვებს ზღვარებსა.

რაიც აქვს, იგი არ ყოფნის,
კიდევ ზედ მეტი სწადია
(სადილი რადგან „მიირთვა“,
დესერტს დაეძებს, ცხადია).
მიტომ მას თვისი მეორე
ჩვენსკენ აქვს გამოწვდილია,
(წართმევა მითვისებაში
ის კარგი გამოცდილია).

და თუმცა იგი დღეს კიდევ,
დიდი ძალ-ღონის მქონეა,
მაინც დესერტის ძებნაში
თავიც წააგოს მგონია.

აწ პირველს სადაც უნახავთ
ასოს თანხმოვანს წყვილადა,
რომელიც თავში იქნება
ჩამოვაშორებთ ფრთხილადა.

მაგრამ მეორე ნაწილს კი
ნუ მოვეპყრობით ცუდათა,
მხოლოდ ჩვენ ასო პირველი
მას გამოვავათ კულათა.

და ის გამოვა, რასაც ყავს
ურიცხვი ჯარი მცველადა...

სახელმწიფოებს, მარადის
რაც უძევს საფუძველად.

ქართულ პრესაში, ბოლო დროს,
მასზე კამათი ხშირია...
(მის ხსენებაზე ესფერებს
ნერწყვით ვესებათ პირია).

კვახი.



ფ რ თ ი.

ტარტაროზის რევიზიამ აღმოაჩინა სამი სხვა
და სხვა პირზე მიწერილი შანტაჟის წერილი. რო-
გორც ავტორები ისე მიმღებლებიც წერილებს დი-
დის საიდუმლოებით მალავდნენ. რევიზორი ურჩევს
წერილის მიმღებლებს: ნუ დაეძებთ „შვამავალის“
საშუალებით შანტაჟისტებს მოსარიგებლათ, რად-
გან არავინ იცის: სად იწყება „შვამავალი“ და სად
თავდება შანტაჟისტიო. უნდა მიმართოთ კანონისა
და ხალხის სამართალს, წინააღმდეგ შემთხვევაში
ყველანი ერთად გადაეცემით ჯოჯოხეთს გასამათ-
რახებლათო.

ქალაქის აფთიაქის რევიზიამ გამოარკვია,
რომ ბ-ნი გამგის სამსახურიდან დათხოვნა ტყემა-
ლაძის პირადი საქმე ყოფილა და არა გამგეობის
დადგენილობა. ტყემალაძეს „პრიკაზი“ გაუცია:
„გამკეს „ვიდვორით“ უყავიო აფთეკიდანო“, რა-
ზედაც პასუხათ მიუღია: „ნე ნუჟდაემსია“-ო.
ტარტაროზის განკარგულებით გამგე თავის ადგილ-
ზე რჩება თვითმმართველობის სხდომის მოწვევამდე,
ხოლო ტყემალაძეს ებრძანა: თავი დაანებოს გერ-
ზევესკისთან „კომბინაციებს“ აფთექის საქმეზე, სა-
ნამ ხმოსანთა კრება დადგენილებას გამოიტანდეს
ამ საქმის შესახებ.

იგულოვ-საბახტარიშვილის პროცესში რე-
ვიზიამ კიდევ აღმოაჩინა ორი მომჩივანი და სამი
მოპასუხე, რომელიც აწი დაიწყება. ყოველივე ეს
გამოუწვევია იმ მოწამის როლს, რომელიც ბ-მა

ტყემალაძემ იცისრა ამ საქმეში და რომლითაც
მომჩივან-მოპასუხესთან ერთად თავის თავიც უმო-
ინდურა საზოგადოებისგან საჯაყი ჩვენებათ.



რევიზიამ აღმოაჩინა აგრეთვე „ლექტორ“
ამალელვებელის (სტიპენდიის ძებნამდე ამალლო-
ბელი) „ლექციაზე“ 6 მსიენელი (4 თანამოაზრე
და 2 მოწინააღმდეგე) 2 თანამოაზრე პირველ ნა-
წილის შემდეგ მიიმალა, დანარჩენი 4 ბოლომდე
შერჩა „ლექციას“. „ლექციიდან“ თანამოაზრენი
ძლიერ ნაწყენი და მოწინააღმდეგენი ძლიერ ნასია-
მოვნები დაბრუნდნენ. მეორე „ლექცია“ ამალელ-
ვებელისა მსმენელთა სრული დაუსწრებლობის გა-
მო არ შესდგა და გადაიდგა ეროვნული მუშების
ჩამოსვლამდე, რომლებიც მედიატორების საძებრათ
არიან წასულნი სიმონ გოგიბერიძის გასასამართ-
ლებლათ.

ეროვნულმა მუშებმა მიიღეს თავის პარტია-
ში დიმიტრი გუბელაძე, რომელიც დასვლებმა სხვა
და სხვა შანტაჟის მოხდენის შემდეგ მოქმედების
კვალობაზე „დააჯილდოეს“. ამავე გუბელაძეს გა-
დასცეს ეროვნულმა მუშებმა ეროვნული გაზეთები
საერცვლებლათ, რასაც შესაფერათ ასრულებს გუ-
ბელაძე. იმარჯვებს ეროვნული იდეა, გუბელაძე
მიემატა მათ.

ბუტუნას სააგენტო.



„მ ი ლ ო ვ ი ა ღ ა“.



გრიგორი. მაშ ასე! თითოს მორჩება თითო არშინი. არშინი რა ნაქერია.

არკადი. ხეს რომ იყიდი ნაფოტიც ხომ შენია, წავეიდეთ ავიდლოთ.

არკადი. გრიგორ! ერთი შეხედე ამ ჯარისკაცსა!

გრიგორი. რა იყო? ვითომ რაო?

არკადი. ერთი მაგის „შინელს“ დამიხედე, როგორ მღვდის ანაფორასავით დაათრევს.

გრიგორი. მართლაც დახედე, დახედე! ფეხებშიაც რო ებლანდება და სიარულს უშლის

არკადი. გრიგორ! იცი რა გითხრა?

გრიგორი. აბა!

არკადი. მე მგონია ეს სასარგებლო უფროა, ვიდრე საზარალო.


გრიგორი. აჰაა! წავეიდეთ დაუფიქრდეთ.



გრიგორი. ეს ნაქრები სადღა წავიდლოთ?
 არკადი. აი თუნდა ჩემს მალაზიაში დაჰყარე საღმე.

გრიგორი. მოდი ერთი ვიზიტკებიც შევიკეროთ.

არკადი. მე ვიცი მშვენიერი პორტნოი.



შოფერი. აქ მიბრძანებ გავაჩერო? არკადი. შესდექ.
გრიგორი. მეძვირეა? არკადი. როგორც ყველა.
გრიგორი. ქურდია? არკადი. როგორც ყველა.
გრიგორი. გასაოცარია პარტნოი რატომ ყველა ქურდი უნდა იყვეს?
არკადი. შევიდეთ.

ნატვრა

(დიდი ჯახაშუკლი გლეხისა)

ნეტავ მანატრა, მანატრა, ეს ნატვრა ამიხთებოდეს: ჩვენი მღვდელი და მთავარი ქელებში არა თვრებოდეს, ამ ჩვენსა ქსენონ-აფთეაქს ვარგისი გამგე ჰყოლოდეს, არ აკლდებოდეს წამლები, თაყ-თავის დროზე ჰქონოდეს.

(და თუ მიაკლდეს მასალა საწყობებიდან მოჰქონდეს, კომიტეტების დუქნიდან ძვირათ არ დაგვიჯდებოდეს).

ნეტავ მანატრა, მანატრა, ეს ნატვრა ამიხთებოდეს: „ქუჩის“ ფულები, ღარიბ გლეხს ზედ მეტი არა გვხდებოდეს...

გამწერელთ, ბოროტებასა აწ ბოლო მოეღებოდეს,



მკერავი. ხო არ გიქერსთ? არკადი. ცოტა მოუშვით, ეს მეტი მეტი საფრანტო იქნება.
გრიგორი. არკადოჯან, რაღაცა მუცელი მგვრემს, მე წავალ შემდეგ შამოვივლი.
არკადი. აბა რა დროს ეგენია.
მკერავი. მოითმინეთ ბატონო, თქვენც ეხლავ გაგანთავისუფლებთ.

ზედ მეტი, ანაბოქავი კვლავ გლეხებს უბრუნდებოდეს.

ჩარჩი მოვაქრე მოხელედ სოფელში არა გვყოლოდეს, ყრილობის დროსა მყვირალნი სრულიად ჩამოგვთხოვოდეს.

ნეტავ მანატრა, მანატრა ეს ნატვრა ამიხთებოდეს,

მირონიის დუქანში
 კარტ-ნარდი მოისპობოდეს.
 უსაქმო ქალი და ვაჟი
 ფოსტაზე არა მორბოდეს.
 ყოველი ფოსტის მოსვლისას
 უქმად არ ლაზლანდარობდეს.
 კიდევ მანატრა, მანატრა,
 ეს ნატვრა ამიხთებოდეს
 ეს ჩვენი კოპერატივი
 დროითი გაიხსნებოდეს.
 ჩარჩების თარეშს, გლახობა
 ცოცხალი გადაჩენოდეს,
 ქუთათურ „მეგობრისტები“
 ვაჭრებს არ ჩამორენოდეს.

კიკოლა ბიჭი.

საარჩევნო ციებ-ცხელება.

ერთ მოქმედებიანი ვოდვეილი.
 (მოქმედება წარმოებს ქ. გოჭში.)

სურათი მესამე.

ლორდ-მერ კიტტი. ბ-ბო! მერის ადგილზედ
 ორი კანდიდატი იდგამს ყუთს. სერ კიკიანო და
 სერ გრიგოლიანო. არჩევნები იწყება.

ხმოსანი. (მოკრძალებით) ბ-ნო ლორდ-მერ!
 თქვენ მერის არჩევნებში მონაწილეობას იღებთ?

ლორდ-მერ კიტტი. (ყვირილით) რა? მერე
 რა თქვენნი საქმეა? ხედავ ამ წიგნს? (უჩვენებს „ГО-
 РОДОВОЕ ПОЛОЖЕНИЕ“-ზე).*) ხმა ჩაწყვიტეთ ემ
 საათში!.. (ესერის ამ ვებერთელა წიგნს ხმოსანს,
 მაგრამ არ მოხვდება)

მისტერ პარმენო პროვოკაციო. (ცბიერი კი-
 ლოთი) ბ-ბო! ამ სამი წლის წინედ მე და ეგ ხმო-
 სანი ლიახვზედ რომ სახანაოდ მივდიოდით, გავე-
 ბით ლაპარაკში. მაშინ იგი საშინლად ლანძღავდა
 ხმოსნებს და ჩვენ საყვარელ ლორდ-მერს, ეხლა კი
 თვითონ ხმოსანია... (გაისმის საშინელი ტაშის
 გრიალი)

ხმოსანი. პროვოკატორ!

ლორდ-მერ. (ზარსა რეკავს) მე თქვენ ლაპა-
 რაკის ნებას არ გაძლევთ! დევადეთ! გაეთრიეთ!
 ჩქარა გაეთრიეთ გარედ!.. (იხსნის ჯაჭვს და ესე-

რის შიგ თავში ხმოსანს, რომელიც თავ-სისხლია-
 ნი გარეთ გაჰყავთ).

სანჩო-პანჩო. (ხელს ართმევს ლორდ-მერს და
 რაღაცას ულოცავს).

ლორდ-მერ კიტტი. (ხმა მალლა) დამშვიდდით
 ბ-ნო! აიღეთ სათითაოდ კენჭები და შეუდევით
 თქვენ საქმეს. (ხმოსნები სათითაოდ იღებენ კენ-
 ჭებს და ჰყრიან ყუთებში. ამ დროს შეუმჩნევლად
 შემოიპარება კარებში ხმოსანი, ჩაუგდებს სერ-გრი-
 გოლიანოს თეთრ კენჭს და ისევ გავა გარეთ).

სენიორე რიჟიანო. (აღელვებით და ხმა მალ-
 ლა).

ბ-ბო! სმენა იყოს და გაგონება! ერთი, ორი,
 სამი... (სთვლის კენჭებს და აცხადებს არჩევნების
 შედეგებს) სერ-კიკიანოს ამოუვიდა შვიდი თეთრი,
 სერ-გრიგორიანოს—რვა. მაშასადამე, ქალაქის ახალ
 მერად არჩეულ იქმნა სერ-გრიგორიანო. (გაისმის
 საშინელი და გულის შემზარავი ღრიალი. ლორდ-
 მერ კიტტი ტირის და ხელ-ცახოცით ცრემლებს
 იშრობს. სანჩო-პანჩო წამლებით აბრუნებს ლორდ-
 მერს. რიჟიანო და პარმენო პროვოკაციო გაკვირ-
 ვებულნი შეჰყურებდნენ ერთმანეთს. ანბანიძეს გუ-
 ლი მისდის და ლაზარეთიდან მოტანილ „სუპით“
 ასულიერებენ. სენიორე კლიმიო და სენიორე გა-
 ჩჩილილი ჰკუაზედ იშლებიან. მოწყალების დებს
 და მანდილოსნებს „ისტერიკა“ მოსდით).*)

ლორდ-მერ კიტტი. (გონებას იკრებს და ხმა
 მალლა ყვირის) ბ-ბო! დამშვიდდით! ვფიცავ ჩემ
 ჯაჭვს, რომ სერ-გრიგოლიანო ქალაქის მერი არა-
 სოდეს არ იქნება. ნუ გეშინიანთ! ჩვენ ზომებს
 მივიღებთ!..

სანჩო-პანჩო. (ქვითინით) ვაიმე ჩემო სამ-
 შობლო! მშვიდობით ჩემო „აფთიაქო!“

სენიორე რიჟიანო (აღელვებით) მშვიდობით
 ჩემო მამულა!

მოწყალების დანი. (ამოიოხრავენ) ეჰ!..

მისტერ ანბანიძე. (აცრემლებული) მშვიდო-
 ბით ჩემო საყვარელო „სუპო და კატლეტებო“.

მანდილოსნები. (ერთხმად) მშვიდობით და-
 ლუპულო სამშობლო!

სერ-გრიგოლიანო. (რაღაცის თქმა უნდა.
 პირს აღებს მაგრამ ამ დროს უეცრივ გაისმის სა-
 შინელი ღრიალი. „ქართულად! ქართულად!“ ან-

*) მე როგორც სრულ წლოვან მოქალაქეს ნება მაქვს
 არჩევნებში მონაწილეობა მივიღო.

*) სწორეთ ამ დროს მისტერ გვეალლი თავის კაბინეთ-
 ში კვერცხებსა სთვლიდა. შეიტყობს თუ არა დეპუტით ამ ამ-
 ბავს, ჰკუაზედ იშლება ისიც.

ბანიძე სიბრაზით თავის ფოტოგრაფიულ აპარატს ამტვრევს. არეულობა ძლიერდება. თაყვანის მცემლები ლორდ-მერ კიტტის გარს ეხვევიან და ოვაციებს უმართავენ. ბრბო ქუჩაზედ გამოდის და დემონსტრაციას მართავს. პროცესია სადგურისაკენ მიდის ამ სიმღერით):

„თბილისისკენ მივცოცავთ, მივცოცავთ!
და ერთმანეთს შევფიცავთ, შევფიცავთ,
რომ სუყველა ზომები,
თუნდ იყოს დაბეზღება
მიღებული იქნება!..“

სცენა სადგურზედ.

მანდილოსნების წარმომადგენელი. (თაიგულით ხელში მიჰართავს ლორდ მერს) მიიღეთ ჩვენი უკანასკნელი სალაპი!

ლორდ-მერ კიტტი. (გულზედ ხელს იდებს) გამადლობთ!..

მოწყალების და. (მიართმევს ოქრო მკედლით ნაკერ ბალიშს და აცრემლებული წარმოსთქვამს)

„სულით და გულით მიძღვნილი,
მცირედც შეიწირების“.

ლორდ-მერ კიტტი. (ბალიშს გულში ჩაიკრავს და ჰკოცნის).

მისტერ ანბანიძე. მირთვით ჩემი „ლექსიკონი“. (შიგა სწვრია ყველა ჯურის გინება. ამასთანავე გადასცემს ერთ ზღუჯა კორესპონდენტებს).

ლორდ-მერ კიტტი. ჩემო ძვირფასო! (მხურვალედ ჰკოცნის და უხვად ასაჩუქრებს ქანქარით).

ღონ-ცერცვიანო. (აჩერებს მატარებელს, რომელიც უკვე დაიძრა) დიდებულო ლორდ-მერ! აღსრულდა! გავარდა მესი! ჩამოცვივდნენ ვარსკვლავები დაბნელდა მზე და მთვარე! მაშ მიდიხარ? მიდიხარ! აღარ იშლი? ხალხნო და ჯამათნო! „სიკეთე მიდის—ბოროტება აქ რჩება!“ (ამ დროს მატარებელი უკვე დაიძვრის).

ლორდ-მერ კიტტი. (პირველი კლასის ვაგონიდან) მშვიდობით! მშვიდობით! (დაბლა ღიღინებს. „თბილისისკენ მივცოცავ, მივცოცავ!..“)

პირველი ხმა. ყველაფერი მოახსენეთ! კარგად მოახსენეთ! ვოლოგდა არ დაგავიწყდეთ!..

მეორე ხმა. 1905 წ. არ დაგავიწყდეთ... სუყველაფერი მოახსენეთ!..

მესამე ხმა. დერეფნის ზარს მაგრა ჩამოჰკარით!

მეოთხე ხმა. „ნემკა!“ „ნემკა!“ არ დაგავიწყდეთ!..

ლორდ-მერ კიტტი. (მატარებელი მოუჩქარებს) მშვიდობით!.. მშვიდობით სუყველაფერს მოვახსენებ... სუ...ყვე...ლაფ...ერს... (ხმა იკარგება... მატარებელი აღარა სჩანს. „საზოგადოება“ დიდხანს არ იშლება. მოწყალების დანი და მანდილოსნები ხელსახოცით ცრემლებს იშრობენ).

ლახვარი.

რა გამშვენებს ველისციხევ?

რა გამშვენებს და გამკობს?

ეგ შენი კობტა მამა.

რით? და მით, რომ არ უყვარს

სოფლის ფულების ჰამო.

მერე გშვენის მწერალი

შინჯიაშვილი ლადო,

ან იმაზე ვინ იტყვის,

რომ ბევრი ფული ჩადო?

მერე ეგ ტერტერები:

ბაგრატა და სიმონა,

ვითომ კარტს თამაშობდნენ???

აბა, ვინ გაიგონა!!!

მერე მასწავლებლები:

ვალარშაკა და საშაკა

ვერც იმათზე ითქმება,

რომ არ უყვარათ „ბაშაკა“.

მერე არშაკ სარქისიჩ,

ის ჩვენი „გლუჯას ბიჭი“...
სტყუიან, ჩარჩობაში,

ეჩინოს დიდი ნიჭი.

მერე გშვენის შალიკო,

ბოხ ხმიან ელიზბარი,

„ატჩიანი“ „ტანგო“ *)

ზურაბას დახლიდარი.

მერე გშვენის და გამკობს

ეგ შენი კობტა კლუბი,

რომელშიც იმართება

აყალ-მაყალი, ჩხუბი.

მერე გშვენის და გამკობს

ეგ შენი „ცივი წყალი“

*) სიტყვა „ტანგო“ ადგილობრივ მკლე აზნაურის მეტი სახელი გახლავთ.

გაზაფხულობით მღვრიე,
 ზაფხულში კი დამშრალი.
 და ბოლოს სულ გამშვენებს
 ქერემის დიდი ხევი...
 თუ გახსოვს გაზაფხულზე
 შენ იმას ქვეშ მოყვები,
 მაგრამ ჰშვენის თბილისსაც
 სარიევი „კუთა“,
 იქ, რიყეში, რომ ვაქრობს
 ნემეცური „ქკუთა“.

მეხი.



ქათმის ფერხვა*).

(გურული სტენა)

ღმერთმა ყოლიკაცი დავიფაროს იხტიბარ გა-
 ტეხილი და ვოროსპი ცოლისაგან! ამისანა ქათმის
 ფერხვა ჩემ მტერს გუუთენოს ღმერთმა, ჩემმა ცო-
 ლმა ქანქლოიამ რო გამითენა!

კალანდა ყაიდაზე გავითენე! დაქცეული დროი
 კია, მარა, ვიფიქრე, რომ ვიტურო, ამით მაინც
 აფერი გაკეთდება მეთქინ; ჩიჩილაკიც კი გავაწყვე,
 ლორის თავი, კვინქილა, ბოკელი, სურო, კურ-
 კანტელი, აბრეშუმი და, ერთი სიტყვით სიღარი-
 ბის ყველაფერი მქონდა, სულ სიცილ კირკიცში
 დავაღამეთ კალანდა მე და ჩემმა მომჯაყველმა
 ქანქლოიამ. საღამოს უთხარი ქალს.

— ბეჩა, ქანქლოია, ხვალ რომ ქათმის ფერხ-
 ხვა არის, ხომ იცი და მფერხავი უნდა დავაიჯოთ
 ვინმე მეთქინ*.

*) „ქათმის ფერხვა“ ესე იგი ქათმის ბედობა დღე გუ-
 რიაში კალანდის მეორე დღეა, ამ დღისთვის წინდაწინ მოი-
 პატიებენ ვინმეს „პარგი ფენისას“, რომელიც ამ დღეს, დი-
 ლით ადრე მოვა ოჯახში და „ფერხავს“. შინაურსაც შეუძ-
 ლია იყოს მისივე ოჯახის მფერხავი, ხალხი ღამე ვინმესა
 უნდა დარჩეს, ან თავის ბედელში, ან ნალიაში.

— დავპატიეთ, მარა ვის დაპაიჯებ, რომ
 ხეირიანი არაკაცია ახლა სახლში დარჩენილი, ყვე-
 ლა ვაინშია და უხეიროს რაღა შემოუშობ ოჯახში?

— აგერ კოწიეს ბიჭი, სევასტიე დავპაიჯოთ.

— უი, აგი რა მითხარი, იმ ფეხ მოქცეულს
 რაღა ჩამოუშობ ეზოში, თელ წელიწადში ფეხმოქ-
 ცეული ქათმები გვეყოლებოა.

— აბა, ვარლამიეს ივანიკაი დავპაიჯოთ.

— უი! იგი ბრუციანია, არ ვარგა ბრუციანი
 ქათმები გვეყოლება.

— აბა, გოჯასპეს ესიკელაი დავპაიჯოთ.

— იგი ცხვიპირ მოსკიპარკებული რაღა მინდა
 მფერხავათ.

— აბა, რა გინდა, შენ შეჩვენებულო ქანქ-
 ლოია, ჩვენში აგენია, და კარგები ხომ ვაინშია
 ყველაი, რაღა ფიქრობ, ვაინიდან კი არაკაცი გა-
 მოგვიგზავნის მფერხავს.

— თუ არ გამომიგზავნის, ისეც კი მუახერ-
 ხებთ რამეს.

— უი, .ხლა გამახსენდა, მართლა, აგერ ჩვე-
 ნი ერმალიეს კარქოიე, მშვენიერი ბიჭია, იმას მა-
 ინც ხომ არაფერი აქ მოქცეული?

— არა, იგი სხვისი მფერხავი არის.

— რა იცი შენ, ქალო?

— რა ვიცი და დღეს რომ მომილოცა საყ-
 დარზე კალანდა, მაშინ მითხრა.

— აბა, რა ვქნათ ახლა?

— ერთი ქენი შენ, ამელამ ნალიაში გაათიე
 ღამე და დილას ადრე შენ გვიფერხე, შენზე უკე-
 თესი ვინ მყავს, ფეხი არ გაქ მოქცეული და ცხვი-
 პირი.

— კაი, მასე იყოს, თუ ჩემს იქით არ არის
 საშველი.

— ახლა იცი რანაირად უნდა მეიქცე ხვალ?
 დილას ადრე შემოდი სახლში, კვახს მოგცემ ხელ-
 ში სიმინდით და ღომით გაფსებულს, სამჯერ ჩა-
 მუუარე სახლს და იძახე: „ღმერთო გაგვიმრავლე,
 ფრინველები, ათასი ქათამი, ათასი ბატი, ათასი
 ინდოური, ათასი კვატაი და სხვა“...

— ოი, შენ გამოგაჩერჩეტებს ღმერთი, იან-
 გარიშე შენ შტერო, რამდენი ათასი შედგა მაგი
 ახლა: ათასი ქათამი, ათასი ბატი, ამდენი ინდოუ-
 რი, ამდენი კვატაი, აგი ხომ ოთხი ათასი არის და
 ოთხი ათასი ფრინველის სიმინდი კი არა, მარტამ-
 დე არ გვეყოფა წროულს მქადი. ღმერთმა დავიფა-
 როს ამდენი რომ გამრავლდეს, თვარა ერთი სა-

პანე სიმინდი ქათმებს არ ეყოფა. არა, მაგას ვერ ვიტყვი, ასიც კი გვეყოფა.

— არა, ბეჩა, აი, ასე უნდა თქვა, თვარა მართლა ამდენს კი არ გაგვიმრავლებს.

— აბა, რას ატარტარებ მაგ ენას.

ვეიკილე ლები და საბანი და გუუყევი ნალიაში... მომადახა, ხვალე ერთ სკამზე დიეკოსე სულ, თვარა ქათმები ბუდეში კვერხს აღარ დადებნო. კაი, კაი მე ყველაფერს ვიზამ, შენ იყავი ქუთით სახლში და ხვალე სადილათ ერთი კაი ჩაზუბზუბებული „საკაკავი“*) რომ გააკეთე იგი მაქამე მეთქინ. დაწვევი ნალიაში, ჩემ მტერს გუუთენდა იმი-სთანა ღამე! რომ მომიჭირა სიცივემ, მამაგძაგა, მამაგძაგა! აბა ძილი რავა მომივიდოდა თვალში. ერთი სული მქონდა, სანამდი გათენდებოდა, ამეს-ვარა თავში ფიქრები, ცაის, ბარის, რაც უბედრომელიც უსახელოთ აწერს ხელს. ამისათვის ვთხოვ რება გადამწყვეტია, ყველა იმ ღამეს მომადგონ ბ. ისკანდერს, რადგან ასეთი ცილისწამებაზე კი რავარც იქნა, იყილა მამალმა მეორე... მი. კაცი, წამოვდექი ზედ, როგორც გინახავს კვ. კატა, ისე ვიყავი სიცივით გაფშოკებული. ასეთი ცილისწამებაში „სადერჯატელი“ გამართლდეს მიტ-შემოვიჩქმიტე ცხვიპირი, მივიფშევენ მეც. იმ შემთხვევაში დამნაშავემ გადაიხადოს ჯარიმა ნი ხელები, შუუხტი, შამოუხტი, პაწაი ქე შეეცასი მანეთი (100 მ.) ხუთი თუმანი ომიანობიდან ფი... მოგხვეი საბანს ხელი და წვევდი სახლისკენ ღინილ წვრილ ცალ-შვილ და ობოლის სა-საფერხავათ. შევედი ნელა პარმალში... ბიკოს!! ხუთი თუმანი წყალ-დიდობისგან და-რაცხა პუტუნ-პუტუნი მომესმა სახლიდან: „არიქა კარქოია, აწი უშველე თავს, წადი, თვარა, ჩემი ქმარი საცხაა, მოვია“.

ერი, ჰაა! ჩემ ცოლს ვილაცა „მფერხავი“ ყოლია წუხელის მეთქინ, ვიფიქრე. წამუავლე ხელი დიდ ჯოხს. მე შენ გიჩვენებ სეირს, ვინცხა ხარ მეთქინ, ვფეთქე კარები და შევარდი შით. უო, იკივლა ქანქლოიამ. წამუარდა ზეთ ვინცხა ყაძახი, დატანა ხელი ტანისამოს და მირბის... ვერ წამიხვალ მეთქინ, ვუყვირე და მივყაღე და მივაყოლე კოქებში, ბეკებში; შენ ხარ ჩემი საფერხავი, აბა ნახე, რავა დაფერხვო მეთქინ: იბლორინა და იბლორინა, შვლიქა და გავარდა კარში. ახლა მოვდექი ჩემს ქანქლოიას, მოგეცა ლხენა, მაგრამ დასწყვევლოს ღმერთმა ქალის გუჯაბი და სახსენებელი, თავის მართლება არ დეიწყა!! ბეჩა, გუშინ კი მითხრა ვარი კარქოიამ, მარა, იქინე აღარ წასულიყო და ჩვენსას მევიდა და შენ მფერხავი გალახე, არ გცხვენიაო. აი, შენ ოროსპო, რავა ბე-

*) საკაკავი ქათმების კუჭ-ფილტვებისაგან და თავფეხისაგან გაკეთებულ საკმელს ქვიან, რომელსაც მფერხავს ატყევენ.

დავ მაგას კილომ მეთქინ, თუ მფერხავი იყო, შენთან რა უნდოდა ლოგინში მეთქინ, ვუთხარი და ვუძინიკე და ვუძინიკე ზრუგში, დავზილე კარგათ და ავანთე მერე სანთელი. რას ვხედავ, თურმე, ნუ იტვევი, იმიზა გამაგზავნა ნალიაში ჩემმა ქანქლოიამ, და იმიზა დეიწონა პირფერობაი კარქოიე, რომ მას ყოლია მოპაიმანებული, მე რომ წავსულვარ ნალიაში, მობრძანებულა ის ბატონ კაცი, ქანქლოიას გუუწყვია სუფრა კალანდის ყაიდაზე, აი ჩემი „საკაკავი“ მას მუუთომევიო, მქ ამ დროს ნალიაში მამაგძაგებდა სიცივით... მოდი და ახლა ენდვე აწი კილომ ქალს. ასე უბედურათ ჩეიარა ჩემი ქათმისფერხვა წროულს.

შეამკო ესეთი ცილისწამება — **ს ობოლი.**
თუ ამაზე პასუხი არ უნდა აგოს ბ. დამწყულოთ ამისათვის ვთხოვ რება გადამწყვეტია, ყველა იმ ღამეს მომადგონ ბ. ისკანდერს, რადგან ასეთი ცილისწამებაზე კი რავარც იქნა, იყილა მამალმა მეორე... მი. მიილო შრომა, ეხლა გვიგოს პასუხი მედიატორული წესით რამდენათ მართალი არის, და თუ კი ასეთი ცილისწამებაში „სადერჯატელი“ გამართლდეს იმ შემთხვევაში დამნაშავემ გადაიხადოს ჯარიმა მანეთი (100 მ.) ხუთი თუმანი ომიანობიდან ღინილ წვრილ ცალ-შვილ და ობოლის სა-ხუთი თუმანი წყალ-დიდობისგან და-სათვის ვსთხოვ ბ.—ბ. ეშ-

თელავი. ქალაქ თელავში უკვე შეუდგენ რემონტების და თხრილების კეთებას ყოველ შემთხვევისთვის,—მაწანწარაზე საკმაო ქობებიო, ისე რომ მტერი თუ ჰაეროპლანით არა სხვაფრივ ვერ შემოვა. რიყის ქუჩებში და ბაზრებშიაც ალაგ-ალაგ დამთავრებული თხრილებია სადარაჯოთ.

პროექტორ „ლირამ“ შემოუსავლობის გამო „კაპტილია“-ც გამართა, რადგან ვიჩინების (შაშხების) სეზონი დაიწყო. იღებს შესაბოლო შაშხებს ღამის 7 საათიდან 11 საათამდის.

რაც პრაპორშიკების შკოლა გაიხსნა, ცოტა მხიარულება დაეტყო ქალაქს. (თუ შეიძლება თელავს ქალაქი ვუწოდოთ) „ВЛЮБЛЕННЫЕ ПАРОЧКИ“-ები გამრავლდენ. ხშირათ გაისმის გიტარაზე ბულბულის ხმით დანამღერები: „БЪДНЫЙ ПРАПОРЩИКЪ АРМЕЙСКИЙ СТАЛЪ УХАЖИВАТЬ ЗА МНОЮ“.

თელავის სამკითხველოს გამგეობამ გადასწყვიტა: სამკითხველოსთვის მეორე ოთახიც დაიქირავეს მკითხველთა სიმრავლისაგან გამოწვეულ სივიწროვის გამო.

სამეგრელო. მოზარდ თაობათა ზნეობრივ ფიზიკურ გასაწრთენელათ ს. ბიაში ცნობილმა პლატონ ნადირაიამ ამ დღეებში გახსნა კურსები. დაიწყო მიღება მსურველთა. მომზადების საქმე პირდაპირ პრაქტიკული ხასიათისაა. ყოველივე მაგალითს, თვით აძლევს, მზა-მზარეულად. ასე, რომ მეცადინეობა ნაკლებ დასჭირდება შკოლის გარეშე. ზნეობრივი აღზრდა ომობრივად მიმდინარეობს.




ქათმის ფერხვა*).

(გურული სტენა) ... ეჩქარება მა...

... გაეცეს... ასაც ეჩქარება ყმაწვილებს ეარშიყოს და ხურდა ხალხს არ მისცეს. ამის გამო მას გვარი გამოუტყვალეს და „თოფურიას“ მაგიერ „სიმწარია“ დაარქვეს.

ტყაში-მაფა.



წერილი რედაქციის მიმართ.

ბ. რ. უმორჩილესათ გთხოვთ ადგილი დაუთმონ ამ პატარა წერილს. „ეშმაკის მათრახის“ № 29-ში მოთავსებული იყო პატარა ლექსი ს. ბუკნარისათვის ვიღაც კოსანდილეს ფსევდონიმით.

ავტორი ეხებოდა ბუკნარში მცხოვრებ ორ პიროვნებას და მათ წინააღმდეგ შეუფერებელ ბრალდებებს აყენებდა. თუმც მართალია სახელი და გვარი იქ არ იყო აღნიშნული დამნაშავე პირების, მარა ყველა ადგილობრივი მკითხველი მიხვდებოდა თუ ვინ ყავდა მხედველობაში ავტორს.

ყველა იმ ბრალდებებიდან, (რომელსაც ავტორი ასახელებდა) ყურადღების ღირსია მხოლოდ ის ნაწილი, სადაც სწერია: „ამ ორი პირის წყალობით ბევრმა ციხე და გადასახლება იგემაო“ და თან დასძენს ამ ორი პირის წყალობით ვისმეს პატიოსანი კაცის ოჯახი „აწიოკებულიყოს“.

ჩვენ საყოველთაოდ ვაცხადებთ:

არას დროს იმ ორ პირს, (რომელიც ავტორს ყავს მხედველობაში და რომელიც მისი ლექსიდან ყვეულისხმება) არც ჯაშუშობა და არც არავის პამოგიოსანი კაცის გადასახლება არ დამტკიცებიათ და არავის პატიოსანი კაცის ოჯახი არ აუწიოხებთ რა.

ჩვენ ხიდისთავ-ბუკნარის „თანამედროვე აზნი ეტ“ თანამოაზრენი პროტესტს ვაცხადებთ ყველა ინსეთი კორესპოდენტების წინააღმდეგ, რომლებიც შეუფერებლად და უდანაშაულოთ გასთელვენ ვისმეს პიროვნებას.

ხიდისთავ-ბუკნარის „თან. აზრის“ თანამოაზრენი.

„ეშმაკის მათრახის“ რედაქცია მიიღებს შესაფერზომებს სინამდვილის აღსადგენად და თუ აღნიშნული კორესპოდენტია რამე პირად საფუძველზე იყო აკებულო, საჭირო მჯავრსაც დასდებს თავისს კორესპოდენტს. ამ მიზნის მისაღწევათ ურიგო არ იქნებოდა ზემოაღნიშნულ წერილის ავტორი ხიდისთავ-ბუკნარიდან თავისი საბუთები გაეზიარებათ ჩვენს რედაქციისათვის. პროტესტიც კარგი საქმეა, რა თქმა უნდა, მაგრამ სმართლიანობის აღდგენას არც საბუთები შეუშლიდა ხელს.

პატივცემულო რედაქტორო!

გთხოვთ ადგილი მიხცეთ შემდეგ წერილს: როგორც იქნა თითქმის სამი თვის შემდეგ ბ. ისარმა გვალირსა პასუხი.

ორი წლის წინად დაიბადა აზრი დიდი-ჯიხიში დაეარსებიათ პირველ-დაწყებითი უმაღლესი სასწავლებელი. მე სხვებთან ერთად უპირატესობას ვაძლევდი ერთ-ერთ პროფესიონალურ სასწავლებელს და კერძო საუბრის დროს ვურჩევდი (რაც ჩემთვის საზარალო იყო) ხალხს გაეხსნათ ასეთი

სასწ., რადგანაც ღრმად მრწამს, რომ პროფესიონალურ-
 რი სასწ. გაცდლებით მეტ სამსახურს გაუწევს სოფლის
 დატაც ხაჯს, ვიდრე პარუფლ-დაწვეებით უმადლესი.
 ბ. ისარს, რომ ფაქტი სისწორით აღენიშნა, მე
 მაშინ საწინააღმდეგო რა მექნებოდა, მაგრამ მან
 ბორბტი განზრახვით ჩემკენ ვადმოისროლა ტალა-
 ხი და ეგონა ამით გათავდებოდა საქმე, მაგრამ
 მოტყუვდა ანგარიშში. ჩვენ მოვთხოვეთ დასახე-
 ლოს ის „ზოგი მასწავლებელი“ და ბრალდება
 გარკვეულად დააყენოს. მას საგარძნობი ხნის შემ-
 დეგ მიკიბულ-მოკიბული პასუხი გაუგზავნია, რომ
 პასუხისგებას დასძრომოდა, რაც სჩანს „ეშმ. მათ.“
 ფოსტოდან, № 31. ჩვენ კიდევ ერთი თვე ვუცა-
 დეთ ბ. ისარს და რადგან არ ამოიღო ხმა, მიე-
 მართეთ რამდენიმე პირს ეკისრნათ ჩვენი მედია-
 ტორობა. ამან აიძულა ბ. ისარი ამეტყველებული-
 ყო, თორემ კიდევ კარგა ხანს არ ამოიღებდა თა-
 ვის თემისტოკლისებურ თავს „ორფიას“ უბიდან.
 გავცა პასუხი, მაგრამ თავისებურად, ეშმაკურად,
 გამოსაძრომი დაიტოვა. რომ მოუსპო ეს გზა ბ.
 ისარს, ვუსვამ ულტიმატუმს—დამიმტკიცოს, რომ
 მე ვიყავი წინააღმდეგი სასწავლებლის რაიმე პი-
 რადი ანგარიშით. რაც შეეხება ს. ლოლაბერიძეს,
 მისი დასახელება, როგორც მე, ისე სხვებსაც აო-
 ცებს—ჩვენ მოველოდით ბევრი ვინმეს დასახელე-
 ბას, მხოლოდ მისას კი არა, ისიც თანახმაა ჩემ-
 თან ერთად აგოს პასუხი ბრალდებაზე.

მედიატორებად ვასახელებ ექიმ. თ. მესხს და
 მასწ. ალ. ლეყავას. ვთხოვ ბ. ისარს „ეშმ. მათ.“
 შემდეგ №-ში დასახელოს თავის მხრივ მედიატო-
 რებში, ნუ ინებებს თავისებურად საქმის გაჭიანუ-
 რებას, თორემ, რაც უნდა ეცადოს, პასუხისგებას
 მაინც ვერ აცდება.

მასწ. ილიკო მოს. ქუთათელაძე.


ბ-ნო რედაქტორო!

17 ამა თვესა „ეშმაკის მათრახში“ მოთავსე-
 ბული იყო გამოცანა ბ-ნი ისკანდერისა სასტუმ-
 როს „სადერჟატელის“ შესახებ. მიკვირს თუ საიდან
 შეთხზა—ასეთი ჭორები. მომისმინე მკითხველო და
 იმედია დამერწმუნები, არ მომხდარა არაფერი ისე-
 თი, რაც ბ. ისკანდერს მოუჩმახავს.

ჩვენ ამხანაგებმა ხაზეინის თანაშემწეობით
 დღიურ შემოსავლიდან მანეთზე 10 პროცენტს
 ვტოვებდით, რომლითაც სამი თვეს შემდეგ მოგ-
 როვდა 119 მან. და 95 კაპ. ეს ფული ჩვენ თი-


თონ უნდა გადაგვეგზავნა და გავგზავნეთ კდეც 9
 იანვ. Тифлисть прав. Грузинскаго Благот.
 О-ва. რომელსაც მთელი სია ამხანაგობის სახელი
 და გვარი მივწერე. მასთან ვთხოვდი გაზეთებში
 გამოეცხადებიათ ამხანაგების საყურადღებოდ. რო-
 მელიც დღეს დღეობით არაა გამოცხადებული და
 მაქვს იმედი იქნება. მაგრამ რამ აიძულა ბ-ნი ის-
 კანდერი ასეთი ცილის წამებისთვის? როდის მოხ-
 და ხელათ ფულის მოგროვება, როდის ჩააბარა
 მოსამსახურებმა „სადერჟატელს“ ფული, როდის და-
 აკისრა გავგზავნა, როდის გაუგზავნეთ დებუტაცია
 „სადერჟატელს“? ან საიდან დაბრუნდა დებუტაცია
 არ გამამხილოთ თორემ ყველას დაგიტხოვითო? საი-
 დან შეამკო ესეთი ცილისწამება ბ. ისკანდერმა.
 ნუთუ ამაზე პასუხი არ უნდა აგოს ბ. დამწერმა
 რომელიც უსახელოთ აწერს ხელს. ამისათვის ვთხოვ
 ბ. ისკანდერს, რადგან ასეთი ცილისწამებაზე კი
 მიიღო შრომა, ეხლა გვიგოს პასუხი მედიატორუ-
 ლი წესით რამდენათ მართალი არის, და თუ კი
 ასეთი ცილისწამებაში „სადერჟატელი“ გამართლდეს
 იმ შემთხვევაში დაძნაშავემ გადაიხადოს ჯარიმა
 ასი მანეთი (100 მ.) ხუთი თუმანი ომიანობიდან
 დარჩენილ წვრილ ცოლ-შვილ და ობოლის სა-
 სარგებლოთ, ხუთი თუმანი წყალ-დიდობისგან და-
 ზარალებულთათვის. ამისათვის ვსთხოვ ბ.—ბ. ეშ-
 მაკის მათრახის რედაქტორს, აცნოს დამწერს და
 ვაძლევ ორი კვირის ვადას, დღიდან ამ წერილს
 დაბეჭდვისას. დასახელოს თავის მედიატორები და
 მე ჩემს მედიატორებს დავასახელებ წინააღმდეგ,
 შემთხვევაში იძულებული ვიქნები მიემართო სხვა
 საშვალებას.

იასონ ნესტ. კახიანი.





ტ.ჯ.ა.



ამ სასახლეს არასოდეს არ მოსწრია ამდენი ავტომობილით მნახველები.

არკადი. სად აპირობ გრიგორჯან ამ საღამოთი ახალ კოსტიუმით?

გრიგორი. არ ვიცი ღმერთმანი: „კავკასკოე სლოვოს“ სხდომაა, საქველმოქმედო საზოგადოებაში კრება გვაქვს, ლაზარეთს დახედვა უნდა... შენ საით?

არკადი. არც მე ვიცი რომელ ერთს გავწვდე. სამხედრო სამრეწველო კომიტეტში ყველაზე მეტათ მიმიწვევს გული. საჭიროა ხალხის სულიერი სიმტკიცის დაცვა.

ამ ნომრისათვის დამზადებული რამდენიმე კარიკატურა ვერ იბეჭდება ჩვენგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.